სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 91, 1960
ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОС. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, т. 91. 1960

გიორგი ფუთურიძე

მუსტაფა სელიანიქი საქართველოს შესახებ

მუსტაფა სელიანიქის ბიოგრაფიისათვის მცირე ცნობები მოგვეპოვება. მას შრომაში („თარიხი სელიანიქი") ზოგჯერ აღნიშნული აქვს მისი ახალ თანამდებობებზე დანიშვნის ამბავი, თორემ სხვა რაიმე საყურადღებო ცნობა მისი ბიოგრაფიისათვის თითქმის არ არსებობს.

ცნობილია, რომ იგი დაბადებულია სალონიკში და აქედან წარმოდგება მისი ნისბაც—სელიანიქი. მისი თხზულება მოიცავს ოსმალეთის ისტორიის პერიოდს 1564—1599 წ.წ. რადგანაც მისი თხზულებიდან კარგად ჩანს, რომ იგი აღწერს მხოლოდ იმ პერიოდის ამბებს, რომელთაც მოესწრო და თვითმხილველი იყო, ამიტომ ფიქრობენ. რომ იგი უნდა დაბადებულიყო სულთან სულეიმან კანუნის მეფობის (1520—1566) პირველ წლებში და გარდაცვლილა არა უადრეს 1599 წლისა.

ᲪᲐᲜ მონაწილეობა მიიღო მრავალ ლაშქრობაში და როგორც თვითონ გვაცნობებს, საქართველოშიც იყო დაქირავებული ცხენოსანი ჯარის ერთ-ერთი ნაწილის—სილაჰდარების მდივნად 1588 წელს[1]. 1595 წელს დაქირავებული ჯარის ჯამაგირის გაცემას განაგებს[2]. უკანასკნელად, 1598 წლიდან იგი ანატოლიის მთავარი საანგარიშო კანცელარიის უფროსია.

მის ხელში უნდა გაევლო სხვადასხვა დავთრებსა და ჩანაწერებს, ანატოლიის ვილაიეთებიდან მოსულ მოხსენებებს. მას საშუალება ჰქონდა გასცნობოდა საგარეო საქმეებს დოკუმენტების საშუალებით და ყოველივე ამან ასახვა პოვა მის თხზულებაში. მისი ისტორია სავსეა ოსმალეთისა და მისი მეზობელი ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობის შესახები მრავალი ძვირფასი ცნობით. „მისი თხრობა დღიურისებურად, მკაცრი მიუდგომლობით მიმდინარეობს და აღწერილ მოვლენებს დამაჯერებლად გადმოგვცემს"[3].

უნდა აღინიშნოს, რომ იგი საკმაოდ მძიმე ენით წერს და ვერ შეედრება სტილის სისადავით და ნათელი წინადადებით ვერც ქათიბ ჩელების და ვერც იბრაჰიმ ფეჩევის.

---

[1] გვ. 235. تاريخ سلانيكى مصطفى افندى استانبول، ١٢٨١

[2] J. Hammer, Geschichte des Osmanischen Reiches, ტ. IV. გვ. 244.

[3] Fr. Babinger, Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke, Leipzig, 1927. გვ. 136.

მისი თხზულების ხელნაწერები, რომელთაც ეწოდებათ „თარიხი სელიანიქი“, ვენასა და სტამბოლში ინახება.

არსებობს ერთი ბეჭდური გამოცემა, რომელიც სტამბოლში დაიბეჭდა 1865 წელს[1]. ის არ ჩაითვლება კრიტიკულ გამოცემად, სავსეა კორექტურული შეცდომებით, რის გამოც მისი კითხვა და თარგმნა ადვილი აო არის. განსაკუთრებით დამახინჯებულია გეოგრაფიული სახელები, რომელთა გასაშიფრად მკითხველს დიდი შრომის დახარჯვა სჭირდება.

მუსტაფა სელიანიქი მომსწრე და მონაწილეა განუწყვეტელი ლაშქრობებისა აღმოსავლეთის ასპარეზზე. ყიზილბაშთა ირანის წინააღმდეგ ომებისა, საქართველოს დალაშქვრისა და აგიტომ მისი ყოველი ცნობა გასათვალისწინებელია საქართველოს ისტორიის მკვლევარისათვის.

ამ ისტორიკოსს საქართველოს შესახებ მრავალი ცნობა აქვს ისეთი, რომლებიც სხვა, უფრო გვიანდელი ხანის ოსმალო ისტორიკოსებსაც აქვთ (ქათიბ ჩელები, იბრაჰიმ ფეჩევი, მუსტაფა ნაიმა). ამავე დროს მისი ზოგიერთი ცნობა ადასტურებს მის თანამედროვე და საქართველოს ლაშქრობაში მონაწილე მუსტაფა ალის ცნობებს. გარდა ამისა, მას ისეთი ცნობებიც მოეპოვება, რომლებიც ზემოაღნიშნულ ავტორებს არ გააჩნიათ. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

სელინიქის თხზულებაში გვხვდება საინტერესო ცნობა, რომელიც ეხება ოსმალთა ჯარების სარდალ ფერჰად-ფაშას ბიერ გაგზავნილ მოხსენებას. ეს მოხსენება სტამბოლში მიიღეს 1584 წლის ნოემბერში. ფერჰად-ფაშა სულთანს ატყობინებდა, რომ მასთან ერთი მამაცი ვაჟიშვილისა და ხუთი ბეგის თანხლებით მივიდა თბილისის ყოფილი მფლობელი დაუთხანი, სიმონ მეფის ძმა. დაუთხანმა მოაგონა სარდალს თავისი დამსახურება ოსმალების მიერ თბილისის დაპყრობის საქმეში და ამის სამაგიეროდ წყალობა ითხოვა[2].

სარდალთან საუბრის შემდეგ დაუთხანი სტამბოლში ჩასულა, სადაც მას საზეიმო მიღება მოუწყეს. მის შვილსა და ამალას საპატიო ხალათები უბოძეს. დაუთხანი მარაშას ვილაიეთის ბეგლარბეგად დაინიშნა. აქვე აღნიშნულია, რომ 1584 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში გამოვიდა სულთნის ფირმანი, რომლის ძალითაც დაუთხანი ფერჰად-ფაშასთან გაამწესეს. ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ სულთნის მთავრობა დაუთხანს ოჯაკლიკის წესით აძლევდა საქართველოში მისი ძმის იმ მიწებს, რომლებიც დაპყრობილი ჰქონდათ ოსმალებს[3].

ჩვენთვის კარგად ცნობილია, თუ რა ენერგიით იბრძოდა სიმონ I ოსმალების წინააღმდეგ. სელიანიქის თხრობაშიც კარგად ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ოსმალები სიმონის წინააღმდეგ ბრძოლას, რადგანაც კარგად ესმოდათ, რომ ის იყო ქართლის განმათავისუფლებელი ბრძო-

---

[1] تاریخ سلانیکی. مصطفی افندی، استانبول، ۱۲۸۱

[2] სელიანიქის „ისტორია“, გვ. 186.

[3] იქვე, გვ. 187.

ლის ორგანიზატორი. მთელი თხზულების მანძილზე ოსმალთა მტერთაგან არც ერთ ადამიანს არ ლანძღავს სელიანიქი ისე, როგორც სიმონს. მაგალითად: ყიზილბაშებთან ბრძოლის აღწერისას ასახელებს ყიზილბაშთა სარდლებს, მაგრამ როგორც კი ახსენებს სიმონს, თავს ვერ იკავებს. აქ შუა საუკუნეების ოსმალური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ტენდენცია კი არ ჩანს—მეტია და გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ სიმონი თავისი განუწყვეტელი ბრძოლით მოსვენებას არ აძლევდა ოსმალებს.

სიმონი არაფერს ერიდებოდა, ოღონდ ოსმალებისათვის ევნო. სელიანიქის ცნობით 1588 წელს სიმონმა საქართველოში მომავალ ლაშქარს მძიმე გასაჭირი მიაყენა. გარშემო ყველაფერი გადასწვა, სურსათი მოუსპო, გზები მოუჭრა და ისე გაამწარა ჯარი, რომ მან ამბოხებაც კი მოუწყო სარდალს. სარდალი იძულებული გახდა ჯამაგირის გადიდების დაპირებით დაეშოშმინებინა ჯარი[1].

სელიანიქი მოგვითხრობს „აღმოსავლეთის ჯარების" სარდლის მოხსენების შესახებ. სარდალი სულთანს მოახსენებს, რომ ქართლში ოსმალების მიერ ციხეების აშენება და გამაგრება (გორში, ახალციხეში, დმანისში) გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ვერ მოხერხდა სიმონის „ბოლოს მიღება", ე. ი. როდესაც ოსმალები დარწმუნდნენ, რომ მათ ქართლში მოუხდებოდათ ხანგრძლივი ბრძოლა, მის დასამორჩილებლად გადაწყვიტეს ციხეებში გამაგრებულიყვნენ. მხოლოდ ციხეებში გრძნობდნენ ოსმალები თავს შედარებით უშიშრად; სხვაგან სიმონი იყო გაბატონებული. ამიტომ იყო, რომ, სელიანიქის ცნობით, დიდი გარნიზონები ჰყავდათ ციხეებში, შიგ სპეციალურ საწყობებს აშენებდნენ, სურსათის მარაგს ჰქმნიდნენ; თუმცა ესეც უჭირდათ[2].

სიმონის წინააღმდეგ ბრძოლაში ოსმალებს გორის ციხე მიაჩნდათ ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენად. 1587 წელს ფერჰად-ფაშას მიერ გაგზავნილი მოხსენებიდან ჩანს, რომ ოსმალთა სარდლობა ალექსანდრე კახთა მეფის მორჩილებას ხსნიდა გორის ციხის სიმძლავრით და გორს სთვლიდა საქართველოს ყველაზე ძლიერ ციხედ[3].

იმ დროს სხვებსაც კარგად ესმოდათ, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოსმალეთი სიმონთან ბრძოლას. წყალობის სანაცვლოდ ისინი სთავაზობდნენ ოსმალეთს სიმონის წინააღმდეგ ბრძოლას. საკმარისი იყო ვინმე განსდგომოდა ყიზილბაშთა შაჰს და უკვე ოსმალეთის მფარველობას ეძებდა. ეს გასაგებიცაა. მაგრამ საინტერესოა ის, რომ ისინი ოსმალეთს ჰპირდებოდნენ სიმონის წინააღმდეგ ბრძოლას. მაგალითად: შაჰის ყოფილი ყმა, ჩერქეზი დირაზის ძე მაჰმუდ-ხანი სარდალთან მივიდა და ბეგლარბეგობა სთხოვა. სამაგიეროდ იგი შეჰპირდა, რომ სიმონ მეფეს შეპყრობილს მოიყვანდა[4].

---

[1] იქვე, გვ. 246.
[2] იქვე, გვ. 215—216
[3] იქვე, გვ. 233.
[4] იქვე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტი; ცნობილია, რომ, როდესაც ვერაფერი გააწყვეს სიმონთან ოსმალებმა, იგი ქართლის მეფედ სცნეს. მაგრამ ეს მოხდა ირან-ოსმალეთის 1590 წლის ზავის შემდეგ. მანამდე კი, ფაქტიურად არც შემდეგ, სიმონი არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდა. ამიტომ გვეჩვენება საინტერესოდ სელიანიქის შემდეგი ცნობა: ოსმალთა მთავრობა ყველა ქვეყნის მბრძანებლებს ატყობინებდა რაიმე სასიხარულო ამბავს და ისინიც მოლოცვას აგზავნიდნენ. 1582 წელს სულთნის ვაჟის წინადაცვეთის დღესასწაულზე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებიდან ჰოვიდნენ ელჩები. ზოგმა საჩუქარი და ძღვენი მოართვა, ზოგმა „კანონით გათვალისწინებული საჩუქრები მოართვეს და თავისი სამსახური შეასრულეს“, ამ უკანასკნელთა შორის აღნიშნული არიან „კახთა ხანი“, „დადიან-ხანი“ და „სიძონ-ხანი“[1], თუ მართალია ის ფაქტი, რომ სიმონმა სულთანს საჩუქრები მიართვა, ცხადია, ეს გამოწვეული იქნებოდა სიმონის რაიმე დროებითი მანევრით; მას ან მცირე ხნის შესვენება სჭირდებოდა, ან ყურადღების შესუსტება.

სელიანიქის ცნობები იმითაც არის საინტერესო, რომ ხშირად გვხვდება ბრძოლების პერიპეტიები, რაც ჩვენთვის უცნობი იყო. მაგალითად: მას კარგად აქვს აღწერილი, თუ როგორ გადალახა ადიდებული მტკვარი ოსმალთა ლაშქარმა 1578 წელს თბილისის დაკავების შემდეგ. აქედან ვტყობილობთ, რომ ოსმალებმა დიდი ზარალი ნახეს წყალში დაბრჩვალი მეომრებისა და ჩაძირული ნადავლის სახით[2]. ცოცხლად აქვს აღწერილი 1580 წელს კახეთსა და ქართლზე გავლით არზრუმში საზამთრო ყაზარმებში მიმავალი ლაშქრის მოძრაობა სასტიკ ქარბუქში. აქ დიდი ზარალი ნახა ჯარმა. თურმე ბევრმა ოსმალომ თქვა ამის შემდეგ უარი ომში მონაწილეობაზე და მასთან დაკავშირებულ ულუფაზე[3]. XVI საუკუნის ბოლოსათვის ოსმალეთის ჯარში გახშირდა ომისათვის თავის არიდება და სელიანიქის ეს ცნობაც ერთ-ერთი პირველი მაგალითი უნდა იყოს.

საყურადღებოა ჩილდირის ბრძოლის აღწერა. ი. ფეჩევის ცნობით ყიზილბაშთა ჯარებს სარდლობდნენ თოკმაკ-ხანი, იმამყული-ხანი და ყარა-ხანი[4]. მათი თანამდებობა დასახელებული არაა. ჰამერის მიხედვით თოკმაკ-ხანი ყიზილბაშთა მთავარსარდალია[5]. სელიანიქი აზუსტებს — თოკმაკ-ხანი იყო ერევნისა და ნახჭევნის ხანი, იმამ ყული-ხანი — განჯის ხანი[6].

ფეჩევის „ისტორიაში“ ვკითხულობთ, რომ ბრძოლაში მოკლულ იქნა ხუთი ათასი ყიზილბაში და ამდენივე ტყვეს თავები მოკვეთეს[7]. უფრო სანდო უნდა იყოს ამ ლაშქრობაში მონაწილე სელიანიქის ცნობა, რომლის მიხედვითაც ბრძოლაში მოკლულ იქნა 15 ათასი ყიზილბაში. მრავალი ათასი ტყვედ

---

[1] სელიანიქის „ისტორია“ გვ. 171.
[2] იქვე, გვ. 148.
[3] იქვე, გვ. 152—153.
[4] ფეჩევის „ისტორია“, გვ. 39.
[5] J. Hammer, დასახ. შრ., ტ. II, გვ. 480.
[6] სელიანიქის „ისტორია“, გვ. 147.
[7] ფეჩევის „ისტორია“, გვ. 141.

წაიყვანეს. თავები დასჭრეს 2 ათას კაცს. ფეჩევის არა აქვს რაიმე ცნობა ამ ბრძოლაში ქართველთა მონაწილეობის შესახებ. სელიანიქი კი ჩილდირის ბრძოლის აღწერას იწყებს იმის აღნიშვნით, რომ ყიზილბაშთა ჯარები ქართველთა დასახმარებლად წამოვიდნენ ლალა ფაშას ჯარების წინააღმდეგ. აქედან ჩანს, რომ სელიანიქის ეს ომი, ყოველ შემთხვევაში, ომის ეს ფრონტი, ესმის, როგორც საქართველოს წინააღმდეგ ომი და არა—ყიზილბაშების წინააღმდეგ[1]. გარდა ამისა, ამბობს, რომ ბრძოლის დამთავრების შემდეგ ტყვედ ჩავარდნილი რამდენიმე შეიარაღებული და ჯავშანში ჩამჯდარი ქაფირი აზნაური ოსმალებმა სპეციალურად დანთებულ დიდ კოცონში ცოცხლად დასწვეს ჯავშან-იარაღიანადო[2]. როგორც ვხედავთ, თავიდანვე ყველა ქართველმა ფეოდალმა არ ისურვა უბრძოლველად დანებება. მრავალმა მათგანმა თავი გასწირა „ოსმალობის“ წინააღმდეგ ბრძოლაში.

სელიანიქის ცნობიდან ჩანს, რომ კახთა მეფე ალექსანდრე თუმცა მორჩილებას უცხადებდა ოსმალეთს, მაგრამ არც ოსმალების მტრების მფარველობას ერიდებოდა. მას, ჩანს, ხელს აძლევდა ირან-ოსმალეთის ომი იმ შემთხვევაში, თუ ეს კახეთს არ ავნებდა. განჯისა და ყარაბაღის ყოფილმა ხანმა ზიადის ძე მეჰმედ-ხანმა სცადა განჯის დაბრუნება და მდინარე არეზზე ბრძოლაში დამარცხდა. მან ალექსანდრესთან შეაფარა თავი და კარგა ხანს იმალებოდა მასთან[3].

ასეთია XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის საქართველოს შესახებ ცნობები, რომელთაც გვაწვდის ლაშქრობაში მონაწილე და თვითმხილველი ოსმალო ისტორიკოსი მუსტაფა სელიანიქი.

* * *

قصهٔ جنك قزلباش با لشكرهای سرحد منصوره در صحرای چلدره انهزام شدن ملاعین مزبور

و سنهٔ مرقومه شعبان شریفینده کورجستان مملکتنده چلدر نام صحراده سردار اکرم لالا مصطفی پاشاایله اولان عساکر نصرت شعار قلاع کرجیه‌دن بر قلعه محاصره‌سنه روم ایلی امراسندن برایکی سنجاق بکلری غازیلر ایله فتح و تسخیر ایچون طوب چکوب اسباب حرب تدارکنده ایکن سحردن قزلباش بد معاش طرفندن کورجیلر معاونت و امدادی قصدینه عزیمت ایدوب کلن روان و نخجوان خانی طوقماق خان و شاه قزلباش خدابنده‌نك وکیل سلطنتی کنجه خانی امام قولی خان و بینلرنده شجاعت ایله معروف قره خان روی سیاه دیدکلری قالتبان و معیتلرنده یرارلق

[1] სელიანიქის „ისტორია“, გვ. 146.
[2] იქვე, გვ. 147.
[3] იქვე, გვ. 285.

ایله اکسلنق ملاعین دشمن دیندن طقوز نفر سلت آتلر جمعیت عظما
ایله یکرمی درت نفر قزلباش اوباش ایله کلاب دوزخی اولان روافض
عسکر اسلامدن انتقام آلوب طوب و توفنك آتدرمیه‌لم و دستبرد ضربت
شمشیر کوسترمکله مقدارلرین بیلدیره‌لم دیو اتفاق و اتحاد اوزره
یکدل و یکجهت مذکور چلدر صحراسنده قارشو کلمکله ارضروم
ایالتیله نهنك دریای وغا بهرام پاشا و دیاربکر لشکریله درویش پاشا
و مرعش بکلربکیسی موتیاب زاده احمد پاشا و سابقا دیاربکر
بکلربکیسی اوزدمور اوغلی عثمان پاشا که شجاعت و شهامتده و
جنك آزمالقده سام و نریمان زمان و رستم و اسفندیاروار بر وجهله
صف شکنلکلر کوستردیکه اول روز فیروزده طائفه ملاحده شیمشیر
اسلام التنده ذلیل و مقهور اولوب عظیم جنك آشوب اولمغین اون بش
بیکدن متجاوز دشمن بدکردار طعمهٔ شیمشیر آبدار اولوب نیجه
بیك بقیهٔ السیوف ملاعین دست بته و کردن شکسته هر کس اسیرین کشان
بر کشان ایتی اولدوره‌نه سورودرلر فحواسنجه اغرلقلری و بارویتکاهلری
و کوسلری و سنجاقلری معکوس و منکوس ایرتسی یغما و تالاندن
قلان عسکر اسلام الیله سردار باوقار مصطفی پاشا اوتاغنه دیوان علی‌یه
کتورلدی و ینه قاری اوغلی دیمکله مشهور منوچهر نام صاحب لوا
ولایت کورجستان نامدرلرندن ذی قدرت و توانا ازناورلر ایله غالب
جانبنه ناظر و مترقب اولوب طوررکن نسیم فتح و ظفر پرچم توغ
اسلام اوزربنه اسد و کین کوریجك جمله توابعیله کلوب و ولایتنك
مفاتح قلاعن سردار اکرم حضورینه کتوروب تسلیم ایدوب شرف اسلام
ایله مشرف اولمغه طالب و راغب اولمغله سدهٔ سعادتمداره عرض اولندقده
آستانهٔ دولته ارسالی فرمان اولنوب و سردار اکرم حضرتلری کندی
اوتاغنه کلدیکی کبی قزلباش ملاعیندن در زنجیر اولنلرینك ایکی بیکدن
زیادهسنك بیونلری اوریلوب و نقدر مسلح جبه‌لو کورجی ازناورلری و
کافرلری اله کیردی ایسه همان اورماندن اودون کسوب عظیم آتش یاقوب
جمله‌سن جبه و جوشنیله احراق بالنار ایتملریله قلوب دشمن ینه غایت
خوف و خشیته دوشوب و بو واقع اولان جنکده سردار باوقار حضرتلری
اوتاغندن چیقمیوب و قپو خلقندن بر فرد جنکه وارمیوب کلیا
واقع اولان مردانکی سرحد منصوره عسکریله اولوب قران کلی
دیاربکر لشکرندن درویش پاشا و اکراد امراسندن دلبران و
دلاوران اوستنده اولمشدر و بقیهٔ السیوف اولان قزلباش بدمعاش فرار

اسدوب غازیلر قلیجندن امان دیوب قجانلر قورتولوب اغرلقلری و بارو بنکاهلری و سنجاقلری معکوس و کوسلری منکوس میدان دار و کیروده دوکیلوب مقهور و منهزم اولدقلری عرض و اعلام اولنمش ایدی و اول محلدن دخی کوچیلوب قدیمدن کورجستانك تختکاهی رشك آور سلاطین عالم اولان قلعهٔ تفلیس حاکمی داود خان ایامن جد زیر نکیتلرندن ایکن قلعهٔ مزبوری خالی قیوب کتمکله جمله نواحیسیله تسخیر اولنوب بعده عسکر منصوره سالما غانما قلعهٔ تفلیسدن کوچوب کیدرکن ینه مملکت کورجستانك مالدار بنام آزناورلری و ملت عیسویه‌دن الکساندره لوند نام خان جمله اتباعیله کلوب سردار باوقارك خاك سم سمندینه یوزلر سورمکله التفات علیه‌سنه مظهر اولوب و لشکر اسلامه مستوفی زخائر یتشدروب کلی خدمتده بولنمشلر و تفلیس اوکندن جاری اولان آب کور که نهر عظیمدر و بعض یرلرده قنق صویی دیمکله شهرتی واردر کمال مرتبه طغیان اوزره اولوب هیچ بر وجهله مرور و عبوره مجال و مکان اولمامغله عسکر اسلام دنك و حیران نکران اوزره ایکن همان قیون کچیدی نام موضعدن سپهسالار عالیمقدار فرصت بولوب صویك اوته یقساسنه کچلر و لشکر اسلام دخی آرام ایتمیوب صویی کچمکه شتابان اولدقلرنده قتی چوق آدمك اغرلغی و ثواب و طواری و کندیسی غرق اولمغله کلی خسارت ایله کچیلوب بعزه تعالی غرقدن نجات اولنلر یرتسی جمعیت ایدوب عالی دیوان اولوب قزلباش بدمعاش طرفندن خبر الینوب یرار دللر کتورب سویلتدکلرنده تبریز خانی امیر خان و معینده ترکمان اویماغندن نیجه نامدار سلطانلر عظیم یغناق ایله عسکر منصوره‌یه قارشو کلدکلری معلوم اولدیغی کبی بهادران عسکرك اختیارلری الدن کیدوب آتنه بنوب مسلح و مکمل قزلباش اوستنه کتدکلرنده عبور اولنان نهر عظیمك بر شقی دخی قزلباش عسکری طرفنده اولوب لشکر اسلامك خوش و خروشن ایراقدن کوروب و لولهٔ طوب و آوازهٔ عسکر ایله اعداء دینك اصلا مجاللری قالمیوب جند اللّه الغالب کورندیکی کبی عبوری ممتنع اولان نهره کندولرین صالوب لشکر فرعون مثال بری برین غرق ایتمکله نیجه بیك نامر دمر داولدیلرو ساحل نجاته یتشنلر طاغیلوب فرار ایتدیلر و ایرتسی اول محلدن کچلدکده انسان و حیوان ندکلو هلاك اولدیغی ظاهر اولدی و بو فتح مین عسکر اسلامه مبارك فال اولدی دیوب شیروان زمینده قدیمی ساکن اولان مذهب اهل سنت و

الجماعتدن نیجه بیك مسلمانكه قزلباش طائفه‌سنه رسم سنی دیو
مقطوع ویررلر ایمش بیحد و بیقیاس مكمل و مسلح عسكر كلوب عسكر
اسلامی استقبال ایله نعم فراوان كتوروب و سردار اكرامه پیشكش و
هدایا چكوب حمد بی پایان ایله حضرت پادشاه عالمپناهه دعالر ایلد یلر

(გვ. 146—149).

„ამგავი ყიზილბაშების ომისა ძლევამოსილ ხანაზლვრო ჯარებთან ჩილდირის ველზე და ამ დაწყევლილი [ყიზილბაშების] განადგურებისა

აღნიშნული წლის პატიოსანი შა'ბანის თვეში[1] საქართველოში [მდებარე] ჩილდირის ველზე კეთილშობილი სარდლის ლალა მუსტაფა-ფაშას ძლევაშოსილი ჯარის მიერ ქართველთა ერთ-ერთი ციხის გარემოცვის დროს რუმელიის ერთი-ორი სანჯაკის ბეგებმა თავიანთი გმირებით [ციხის] დასაპყრობად ზარბაზანი მოიტანეს და საომარი საჭურველის მზადებაში იყვნენ. უბედურმა ყიზილბაშებმა დილიდანვე განიზრახეს ქართველებისათვის დახმარება აღმოეჩინათ. ერევნისა და ნახჭევანის ხანი თოკმაკ-ხანი, ყიზილბაშთა შაჰის—ხოდაბანდეს სახელმწიფო რწმუნებული განჯის ხანი იმამყული ხანი, [ყიზილბაშთა] შორის ვაჟკაცობით განთქმული ყალთაბანდი, რომელსაც ყარახან პირშავს უწოდებდნენ, მათთან ერთად სიმამაცით ცნობილი ცხრა დაწყევლილი, სარწმუნოების მტერი ცხენოსანთა დიდი ბრბოთი და აგრეთვე, ოცდაოთხი ავაზაკი ყიზილბაში ჯოჯოხეთის ძაღლი რაფიზებით—ყველა ესენი შეთანხმდნენ: „ისლამის ლაშქარზე შური ვიძიოთ და ისე გავაგებინოთ ხმლის დარტყმის უპირატესობა და რიცხვი, რომ თოფ-ზარბაზანი არ გავასროლინოთო"[2]. ასეთი ერთსულოვნებით მოვიდნენ ისინი ზემოაღნიშნულ ჩილდირის ველზე.

ომის ზღვის ნიანგმა ბაჰრამ-ფაშამ—არზუმის ვილაიეთის [ჯარებით], დერვიშ-ფაშამ—დიარბექირის ლაშქრით, მარაშას ბეგლარბეგმა მევთიაბის ძე ოსმან-ფაშამ ვაჟკაცობის სარბიელზე, ომის ცადილში, ამ ქარიშხლიან დროს რუსთემისა და ისფენდიარის მსგავსად არაფრის ძალით არ დაარღვიეს რიგები. იმ ბედნიერ დღეს ურწმუნოთა გუნდი ისლამის მახვილის ქვეშ დამდაბლდა და განადგურდა. რადგანაც დიდი და მძვინვარე ომი იყო, თხუთმეტ ათასზე მეტი ავხასიათიანი მტერი ბრწყინვალე მახვილის ლუკმა გახდა. მრავალი ათასი მახვილს გადარჩენილი, წაწყმედილი და შეჩვენებული, ავისმქნელი და დამარცხებული მეომარი ტყვედ წამოიყვანეს. შესაბამისად იმ ანდაზისა, რომ ძაღლი ვინც მოკლა, იმას უნდა გადაათრევინოო, მათი სამხედრო აღალი, ბარგი, გადაბრუნებული დოლები, უკუღმა დაშვებული დროშები წააღებინეს. მეორე

[1] ზემოთ აღნიშნულია ჰიჯრით 986—ე. ი. 1578 წლის ოქტომბერი.

[2] ოსმალთა ლაშქარს ყოველთვის უპირატესობა ჰქონდა არტილერიის სახით. ყიზილბაშებს არტილერია არ ჰქონდათ ამ დროს და მათი იმედები ძლიერ კავალერიაზე იყო დამყარებული.

დღეს, ნადავლისა და ნაშოვარის აღების შემდეგ ისლამის ლაშქრის ხელით იქნა წაღებული ღირსეული სარდლის მუსტაფა-ფაშას კარავში მაღალი დივანისათვის.

„დედაბრის შვილის"[1] სახელით ცნობილი, ლევას მფლობელი მანუჩარი, რომელიც საქართველოს სახელოვან ადამიანთაგანი იყო, ძლიერ და განდიდებულ აზნაურებთან ერთად უცქერდა და ელოდა, რომელი მხარე გაიმარჯვებდა. როდესაც ისლამის თუღის ფუნჯებზე გამარჯვების ნიავმა გადაიქროლა, მახვილი და შურისძიება დაინახა. მთელი თავისი ქვეშევრდომებით მორჩილებით მოვიდა, თავისი ქვეყნის ციხეების გასაღებები მთავარსარდალს მოუტანა და ჩააბარა. რადგანაც ბედნიერების ცენტრის ზღურბლს სთხოვა, რომ სურვილი აქვს პატივნაცემი გახდეს ისლამის დიდებით, გაიცა ბრძანება მისი [თხოვნის] სტამბოლში გასაგზავნად.

როგორც კი თავის კარავთან მივიდა მისი აღმატებულება კეთილშობილი სარდალი, ბორკილებში ჩასმულ დაწყევლილ ყიზილბაშთაგან ორ ათასზე მეტ ტყვეს თავები დასჭრეს. რამდენიც შეიარაღებულ-დაჯავშნული ქართველი აზნაური და ქაფირი ჩაუვარდათ ხელში, ნაშინვე ტყეში ხეები მოჭრეს, დიდი კოცონი დაანთეს, ყველანი ცოცხლად დასწვეს ჯავშან-იარაღიანად[2] და მტრის გულები უსაზღვრო შიშმა მოიცვა. ამ ბრძოლის დროს მისი აღმატებულება ღირსეული სარდალი კარვიდან არ გამოსულა და არც კარის ხალხთაგან[3] წასულა ვინმე ბრძოლაში. ჩადენილი მამაცობა მთლიანად ძლევამოსილი სასაზღვრო ლაშქრის საშუალებით მოხდა. ბრძოლის სიმძიმე მთლიანად დააწვა დიარბექირის ლაშქრიდან დერვიშ-ფაშას და ქურთების ემირებს — მამაც ვაჟკაცებს. ხმალსგადარჩენილი უბედური ყიზილბაშები გაიქცნენ და [ოსმალო] გმირების ხმლებისაგან თავს უშველეს. გაქცეულები გადარჩნენ, მაგრამ მათი საბარგული, ბარგი, თავქვე დაკიდებული დროშები და გადაბრუნებული დოლები ბრძოლის ველზე ეყარა; ეხლა კი ცხადი გახდა, რომ ისინი დამარცხებული და განადგურებული იყვნენ.

[სარდალმა] ის ადგილიც გაიარა და [მიადგა] ძველი დროიდან საქართველოს სატახტო ადგილს, მთელი მსოფლიოს ხელმწიფეთა შურისმომგვრელ თბილისის ციხეს, რომელიც მისი მფლობელის—დაუთხანის მმართველობის ქვეშ იყო. მან ხსენებული ციხე ცარიელი დატოვა და ოსმალთა ჯარმა გავლით დაიპყრო [ციხე] მთელი თავისი სანახებით.

შემდეგ, გამარჯვებული ლაშქარი უვნებელი და ნადავლით დატვირთული გავიდა თბილისის ციხიდან. გზაში საქართველოს შეძლებული და სახელოვანი აზნაურები, და ქრისტიანთა ხალხის ალექსანდრე ლევანისძედ წოდებული ხანი თავისი ქვეშევრდომებით მოვიდა, ღირსეული სარდლის ცხენის ჩლიქების მტვერს ემთხვევნენ და მის კეთილგანწყობას მიაღწიეს; შემდეგ მათ

---

[1] დედისიმედი ჰყავს მხედველობაში; ასე უწოდებენ ოსმალო ისტორიკოსები მანუჩარს.

[2] იმ დროს იარაღი და ჯავშანი ძვირად ფასობდა და დიდ ნადავლად ითვლებოდა. ამიტომ აღნიშნავს ისტორიკოსი სპეციალურად ამ ფაქტს.

[3] იგულისხმება რეგულარული ჯარი და მოხელეები.

ისლამის ლაშქრისათვის უხვი სურსათი მოზიდეს და სრული სამსახური გასწიეს.

ამ დროს, თბილისის წინ მიმდინარე მტკვარი, რომელიც დიდი მდინარეა და ზოგ ადგილებში კანაკის წყლის სახელით არის ცნობილი, უზომოდ ადიდებული იყო. რადგანაც მასზე გადასვლა არავითარი საშუალებით არ შეიძლებოდა, ისლამის ლაშქარი გაოგნებული იდგა და არ იცოდა რა ექნა. გამოჩენილმა სპასალარმა გამოსავალი იპოვა და მაშინვე ბრძანა ცხვრის ფონად წოდებულ ადგილას გადასვლა მეორე ნაპირზე. ისლამის ლაშქარსაც არ დაუსვენია და რადგანაც წყალზე გასვლას იჩქაროდნენ, აუარებელი მეომრის მძიმე ნივთები და ძვირფასეულობა, ცხვარი და თვით მეომრებიც ბევრნი დაიხრჩვნენ. ამგვარი ზარალით გადავიდნენ. ღმერთის წყალობით დახრჩობას გადარჩენილები მეორე დღეს შეიკრიბნენ და შედგა მაღალი საბჭო, რადგანაც სასარგებლო მოენე ტყვეები მოიყვანეს და მათგან უბედური ყიზილბაშების ამბავი შეიტყვეს.

ტყვეები ალაპარაკეს და გაიგეს, რომ თავრიზის ხანმა ამირ ხანმა და მისმა დამხმარე თურქმანთა ტომის რამდენიმე სახელოვანმა სულთანმა[1] თავიანთი დიდი ბრბოებით როგორც კი შეიტყვეს, რომ ძლევამოსილი [ოსმალთა] ჯარის წინააღმდეგ მოდიან, ამ ვაჟკაცების ჯარს ნებისყოფა დაეკარგა. ცხენებს მოახტნენ და შეიარაღებულ და გამზადებულ ყიზილბაშებზე გაემართნენ. გადალახული დიდი მდინარის მეორე ნაპირი ყიზილბაშთა ჯარის მხარე იყო. მათ შორიდანვე დაინახეს ისლამის ჯარის ზავთი და ზრიალი. ზარბაზნების ლულების [ცქერით] და ჯარის ხმაურისაგან სარწმუნოების მტრებს ძალის ნასახიც არ შერჩათ. როგორც კი გამოჩნდა ალლაჰის ძლევამოსილი ლაშქარი, გადაცვივდნენ მდინარეში, რომლის გადასვლა [აქ] შეუძლებელი იყო[2]. ლაშქარი ფარაონის მსგავსად ერთმანეთს ახრჩობდნენ გადასვლის დროს და მრავალი ათასი უწყალოდ ჩაძაღლდა[3]. ვინც სამშვიდობოს გავიდა, გაიფანტნენ და გაიქცნენ.

მეორე დღეს, როდესაც ოსმალთა ლაშქარი იმ ადგილებიდან დაიძრა, გამოჩნდა, თუ რამდენი ადამიანი და ცხოველი დაიღუპა. ეს ბრძოლა ისლამის ლაშქრისათვის კარგის მომასწავებელი ნიშანი იყოო თქვეს.

შირვანის ქვეყნის ძველი მოსახლეობა სუნიტობის მიმდევარი იყო და მრავალი ათასი მუსლიმანი ცხოვრობდა. ესენი ყიზილბაშებს აძლევდნენ სუნას გადასახადს გარდაკვეთით. აქედან ურიცხვი და უსაზღვრო შეიარაღებული და

---

[1] ყიზილბაშთა ირანში სულთანი მომთაბარე ტომების ბელადთა ტიტული იყო.

[2] ყიზილბაშთა ლაშქარმა ბრძოლა არ მიიღო და თავის გადასარჩენ ერთადერთ საშუალებად არჩია მტკვრის იმ ნაპირზე გადასვლა, საიდანაც გადმოვიდა ოსმალთა ლაშქარი; აქედან იგი უფრო ადვილად გაეცლებოდა.

[3] აღმოსავლეთში კარგად იცნობდნენ ბიბლიურ გადმოცემებს და განსაკუთრებით— სოლომონის, მოსეს და იესო ქრისტეს შესახებ. აქ ავტორს მხედველობაში უნდა ჰქონდეს ბიბლიის ის გადმოცემა, რომლის მიხედვითაც მოსემ მეწამულ ზღვაზე მშვიდობით გადაიყვანა მშრალზე ებრაელები და მათი მდევარი ფარაონის ლაშქარი კი ზღვის უცბად მოვარდნილ ტალღებში დაიღუპა.

საუკეთესო ლაშქარი მოვიდა, ისლამის ლაშქარს შეხვდა. მათ თან მრიტანეს უხვი სურსათი და ღირსეულ სარდალს საჩუქრები და ძღვენი მოართვეს. ამით მის აღმატებულება ქვეყნიერების მფარველ ფადიშაჰს ურიცხვი ქებადიდება შეასხეს".

...شماخی المزه کیردی غنیمتدر دیدوکی آستانهٔ دولته اعلام اولنوب و خزینه طلب ایلدوکی عرضلر کلدی فی ذی‌الحجه ۲۲ سنه ۹۸۷ و بو جانبدن سردار عالیمقدار حضرتلری ولایت شیرواندن چیقوب لوند الکساندره‌دن یارلق امیدیله اولکاسنه اوغرایوب زکم یولندن کمال شدت شتاده عسکر طوفان بلایه کرفتار اولوب بوران چکوب و رطهٔ هلاکدن خلاص اولنلر مدت عمرلرنده سفر نامنی دللرینه بر دخی کتورمیوب ایمان غلاظ ایله و حسن احتیارلریله درلکدن فراغت ایدوب نیجه بیك دورلو محنت و مشقت ایله ارضرومه قیشلایه یتشوب قرار اولندی فی اواسط ذی الحجه سنه ۹۸۷

(გვ. 152—153).

„...987 წლის ზულ-ჰიჯას 22[1], სტამბოლს ეცნობა, რომ შემახა ჩვენ ხელში გადმოვიდა, იგი ჩვენი სიმდიდრეა და ეს ამბავი ხაზინამ გაითვალისწინოსო.

ნისი აღმატებულება დიდებული სარდალი შირვანიდან გამოვიდა. კახთა მეფე ალექსანდრესთან მეგობრობის იმედით მის ქვეყანაზე გაიარა. ზაგემის გზაზე ლაშქარს სასტიკ ზამთარში საშინელმა ქარბუქმა მოუსწრო და მრავალი უბედურება ეწიათ. ვინც ქარიშხალი და ქარბუქი გაიარა და დაღუპვის უფსკრულს გადაურჩა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ლაშქრობისა და ომის სახელს ერთხელაც ვერ ათქმევინებდით. დაიფიცეს და თავისი ნებით უარი თქვეს ულუფაზე. უთვალავი და ქოველნაირი ტანჯვა-ვაებითა და სიძნელეებით არზრუმის საზამთრო სადგომებს მიაღწიეს და დაბინავდნენ 987 წლის ზულ-ჰიჯას შუა რიცხვებში"[2].

...ماوراء النهر و سمرقند و بخارادن طائفهٔ سنیه‌دن چغتای پادشاهی عبد الله خان که اوزبکیلر دیمکله معروفدر نامه ایله ایلچیسی کلوب مبارکباد ایلدی و ولایت قریم و قپچاق خانی محمد کرای خان طرفندن و مغروب زمین حاکمی طرفندن و ولایت فاس و مراکش

[1] 1580 წლის 9 თებერვალი.

[2] 1580 წლის თებერვლის დასაწყისი.

مولی الملوکندن تحف و هدایا کلوب وکورجستان خانلری لوند خان و سیمون خان و دادیان خان طرفندن و مسقو و انکروس و له قراللرندن و الامان و چه و فرانچه و وندیك و دوبره‌وندیك و افلاق و بغدان آدملرندن قانون اوزره پیشکشلری آلنوب خدمتلرین ادا ایلدیلر

(გვ. 165).

„...მავერანნაჰრიდან, სამარყანდიდან და ბუხარადან, სუნას მაღიარებელი ტომთაგანი ჩაღატაის ფადიშაჰ აბდულლაჰ-ხანისაგან, რომელიც ცნობილია უზბეკების სახელით, ელჩი მოვიდა წერილით და მოულოცა. ყირიმისა და ყივჩაღთა ქვეყნის ხანის მეჰმედ გირეი-ხანისაგან, დასავლეთის მიწების მბრძანებლისაგან, ტუნისისა და მაროკოს ქვეყნების მბრძანებელთაგან საჩუქრები და ძღვენი მოვიდა. საქართველოს მბრძანებლებისაგან: კახთა მეფისაგან [1], სიმონ-ხანისაგან [2], დადიან-ხანისაგან, მოსკოვისა და უნგრეთის ხელმწიფეებისაგან, გერმანიის, ჩეხეთის, საფრანგეთის, ვენეციის, დუბროვნიკის, ვლახეთისა და მოლდავეთის კაცებისაგან კანონით გათვალისწინებული საჩუქრები აღებულ იქნა და მათ თავისი სამსახური შეასრულეს“ [3].

فترت شدن کورجستان و مرتد شدن چلدر بکلربکی منوچهر مصطفی پاشا

اواسطه ذی الحجه که سلخ سالدر شرق طرفنده جمعیت اوزره اولان بکلربکیلردن کلوب حاکم کورجستان اولان عیار و طرار سیمون لعینك دامادی اولمغی اختیار ایلین قاری اوغلی بدبختکه اسلامه کلوب چلدر بکلربکی اولان منوچهر مصطفی پاشا مرتد اولمغین درنکده اولان بکلربکیلر حسن رأی و تدبیر ایده‌میوب لعین مرقومی اله

---

[1] لوند خان — ლევან-ხანი; ასე უწოდებდნენ ოსმალები არა მარტო კახთა მეფე ლევანს, არამედ კახეთის სხვა მეფეებსაც.

[2] دادیان‌خان — ასე უწოდებენ ოსმალო ისტორიკოსები სამეგრელოს მთავარს. სამეგრელოს—„დადიანის ქვეყანას“.

[3] საქმე ეხება 1582 წლის ამბებს. სელიანიქი შესავალში ამბობს, რომ ოსმალთა მთავრობა ყველა ქვეყნის მბრძანებლებს ატყობინებდა სასიხარულო ამბებს და ისინიც მოლოცვას აგზავნიდნენო. ამ წელს მოხდა სულთნის ვაჟიშვილის საზეიმო წინადაცვეთა. რომელიც დიდი დღესასწაულით აღინიშნა. წინადაცვითეს მურად III-ს შვილი, სულთნის მემკვიდრე მეჰმედი. შემდეგ—სულთან მეჰმედ III (1595—1603).

كندومكنده تدارکلری فاش اولمغله دیاربکر بکلربکیسی خادم محمد پاشا یرالنوب قولاغی دوشوب و ارضروم بکلربکیسی محمد پاشا دخی مرتد الندن جست خلاص اولوب و کورجی کافرلری فرصت دوشوروب قارغشه‌لق ایله تفلیسه کیدن قول مواجبن یغمالیوب و اورته‌لقدن منوچهر لعین دخی اوجوز قورتیلوب و سؤ تدبیرلری مقابله‌سنده بکلربکیلرین ایکیسیده معزول اولوب ارضروم بکلربکیلکی صولاق فرهاد پاشا زاده محمد پاشایه و دیاربکر بکلربکیلکی قباد پاشا زاده سلیمان پاشایه فرمان اولندی.

(გვ. 171).

„არეულობა საქართველოში და ჩილდირის ბეგლარბეგ მანუჩარ მუსტაფა-ფაშას მიერ [ისლამ]ის სარწმუნოებაზე უარის თქმა

ზულ-ჰიჯას შუა რიცხვებში[1], რომელიც წლის დასასრულია, აღმოსავლეთში შეკრებილ ბეგლარბეგთაგან [ერთი] მოვიდა და [ამბავი მოიტანა] მანუჩარ მუსტაფა-ფაშას შესახებ, რომელმაც ისურვა საქართველოს მბრძანებლის, გაიძვერა და წყეული სიმონის სიძეობა. დედაბრის ამ უბედურმა შვილმა, რომელმაც [ადრე] ისლამი მიიღო, უღალატა ისლამს. რადგანაც ნის წრეში მყოფი ბეგლარბეგები კეთილგონიერად ვერ მოიქცნენ და კარგი ღონისძიებები ვერ ჩაატარეს, ზემოაღნიშნული წყეულის [მანუჩარის] ხელში ჩასაგდებად განზრახული ღონისძიებები გაამჟღავნეს. დიარბექირის ბეგლარბეგი ჰადემ მეჰმედ-ფაშა დაიჭრა—ყური ჩამოუვარდა და არზრუმის ბეგლარბეგი ნეჰმედ-ფაშა სარწმუნოების უარმყოფლის ხელიდან ძლივს გადარჩა. ქართველმა ქაფირებმა დრო იხელთეს და თბილისისაკენ უწესრიგოდ მიმავალი ჯამაგირი ჯარისა წაართვეს და გაძარცვეს. წყეული მანუჩარიც ამ ამბებიდან იაფად გადარჩა.

ბოროტმოქმედების საპირისპიროდ ორივე ბეგლარბეგი გადაყენებულ იქნა. არზრუმის ბეგლარბეგობა სოლაკ ფერჰად-ფაშას ძე მეჰმედ-ფაშას ებრძანა და დიარბექირის ბეგლარბეგობა—კუბად-ფაშას ძე სულეიმან-ფაშას“.

داود خان کلوب ضیافت اولنوب بکلربکیلك فرمان اولندوغیدر

بو اثناده سردار اکرم فرهاد پاشا طرفندن عرضلر کلوب ممالك کورجستان حاکمی سیمون لعینك قرنداشی قزلباش خانلرندن اولان داود خان که تختکاهی قلعه تفلیس که رشك آور سلاطین

[1] საუბარია 1582 წლის ამბებზე—იანვრის შუა რიცხვები.

عالم لس آنده واقع قدیمی یوردلری ایکن مصطفی پاشانك سطوة قاهره‌سندن براغوب کتمش ایدی حلا بش نفر بکلری و یرار بر نفر اوغلیله سردار فرهاد پاشا حضرتلرینه واروب بنی آستانهٔ سعادت ترابنه اولشدوره‌سز که مملکت کورجستانك مفتاحی بنم و بعونه تعالی فتح و تسخیر بنمله‌در دیوب فی الحقیقه قدیمی اصل و نسل اولمغله قزلباش ایچنده کلی اعتباری اولدیغی اعلام اولنوب مزبور داود خان دیوان معلایه کلدکده عالی ضیافت و اوغلنه و اتباعنه خلع فاخره احسان اولندی و کندویه مرعش بکلربکیلکی احسان اولنوب سردار حضرتلری یاننه واروب ولایت کورجستاندن و قرنداشی سیمون یرلرندن فتح ایلدیکی کندویه اوجاقلق طریقیله ویریله دیو بیوریلوب سرداره حکم شریف کوندرلدی فی اوائل ذی القعده سنه ۹۹۲.

(გვ. 186—187).

„დაუთხანის მოსვლა, პატივით მიღება და მისთვის ბეგლარბეგობის ბოძება

ამ დროს[1] დიდებულ სარდალ ფერჰად-ფაშასაგან წარდგინება მოვიდა, რომ საქართველოს მბრძანებლის, წყეულ სიმონის ძმამ, ყიზილბაშთა ერთ-ერთმა ხანმა დაუთხანმა, რომლის სატახტო ადგილი იყო უხსოვარი დროიდან [ქართველების] საცხოვრებელი, მთელი მსოფლიოს ხელმწიფეთა შურის მომგვრელი, მდინარის პირას გაშენებული თბილისის ციხე, მუსტაფა-ფაშას შემოტევის ძლიერების შიშით დასტოვა [ქალაქი] და ეხლა თავისი ხუთი ბეგისა და მისი ერთი მამაცი შვილის თანხლებით მის აღმატებულება სარდალ ფერჰად-ფაშასთან მოვიდა. აქ მას სთხოვა, რომ მომეცით საშუალება მივაღწიო ბედნიერების ზღურბლს (სტამბოლს), რადგანაც საქართველოს გასაღები მე ვარ და მაღალი ღმერთის წყალობით აღება და დაპყრობა ჩემით შეიძლებაო. მართლაც, რადგანაც ძველი წარჩინებული და დიდებული იყო, ყიზილბაშთა შორისაც სრული პატივისცემა ჰქონდა.

ხსენებული დაუთხანი მაღალ დივანს რომ ეახლა, საზეიმო მიღება მოუწყვეს. მის შვილსა და ამალას საპატიო ხალათები ებოძათ. თვით [დაუთხანს] ბარაშას ბეგლარბეგობა ებოძა და 992 წლის ზულ-კადას პირველ რიცხვებში[2] სარდალთან გაგზავნილ იქნა მაღალი ბრძანება, რომ [დაუთხანი] ეახლოს მის აღმატებულება სარდალს და ოჯაკლიკის წესით ებოძოს საქართველოს და მის ძმის (სიმონის) ის მიწები, რომლებიც სარდალმა დაიპყროო“.

---

[1] საუბარი ეხება 1584 წ. ამბებს.

[2] 1584 წ. ნოემბრის პირველი ნახევარი.

سردار حضرتلری ولایت کورجستانده قلعه‌لر یاپدوغیدر سنه ۹۹۵

ولایت کورجستانده سیمون لعین ایله بر طرف اولمغه بر وجهله امکان اولمامغله آخرکار سیمونك تختکاه دولت اولان کوریده محکم قلعه یاپیلوب و اخسقه‌یی دخی بکلربکیلر اوشوب مستحکم قلعه ایدوب بالضروری لعین مزبور لامکان قالمغین یازین داغلر باشنده مجنون مثال قرار ایدوب قشین فریاد و زاری‌یه باشدی و یاپیلان قلاعه قول و خزینه و ذخیره قنوب بکلربکیلر نصب اولندی حاصل تومانس و لوری و کوری و اخسقه کورجستانه سد جدید اولدی و قلعه تفلیس ایچون بودکلو شدائد برله زحمت چکیلوب خزائن صرف اولنوب استحکام ویرلدی دیو عرضلر کلدی فی اواخر رجب سنه ۹۹۵

(გვ. 225—226).

„მისი ალმატებულება სარდლის მიერ საქართველოში ციხეების აშენება — 995 წელს [1]

995 წლის რეჯების ბოლოს [2] მოხსენებები მოვიდა, რითაც [სარდალი] იტყობინებოდა: „რადგანაც საქართველოში ვერავითარი საშუალებით ვერ მოხერხდა წყეული სიმონის თავიდან მოცილება, საბოლოოდ სიმონის სატახტო ქალაქ გორში ბაგარი ციხე აშენდა. ახალციხეშიც შეიკრიბნენ ბეგლარბეგები და ციხე გაამაგრეს. რადგანაც ხსენებული წყეული იძულებული გახდა უსახლკაროდ დარჩენილიყო, მეჯნუნივით ზაფხულში მთების მწვერვალებზე იმყოფებოდა და ზამთარში კი მოთქმა და ტირილი დაიწყო. აშენებულ ციხეებში მეომრები ჩააყენეს. მოთავსდა ხაზინა და სურსათი, დაინიშნენ ბეგლარბეგები. ამის შედეგად დმანისი [3], ლორე, გორი და ახალციხე საქართველოსათვის ნამდვილ ზღუდედ შეიქმნა. თბილისის ციხის ასეთი გაძლიერებისათვის მრავალი სიძნელე განვიცადეთ და ხაზინა დაიხარჯა, მაგრამ [ქვეყანა] გამაგრდაო“.

سردار حضرتلری کورجستان احوالن عرض ایدوب قلعه‌لر یاپدوغین اعلام ایتدوکیدر

اوائل ذی الحجه‌ده سردار عسکر منصوره فرهاد پاشا حضرتلرندن عرضلر و مکتوبلر ایله سلحداری داود اغه اون نفر ادملریله کلوب

[1] 1587 წ.

[2] 1587 წ. აგვისტოს დასაწყისი.

[3] შეცდომით تومانش — წერია.

سیمون خیدکلری لعینك تختکاهی اولان کوری نام یره محکم عسکر
قرار ایدەجك قلعهٔ متین بنا اولنوب شمدییه دکین مملکت کورجستانده
یاپیلان قلاعك مجموعندن متین اولمغله طائفهٔ لوند حاکمی الکساندره
خان دخی هر سنه آستانهٔ دولته اون بیك التونلق حریر اعلا ویرمك
اوزره مقطوع باغلنوب و واقع اولان حصارلره احتیاج چکدرمیوب مستوفی
ذخیرەلرین یتشدرمکه اطاعت اوزره متعهد اولدوغین عرض و اعلام
ایتدوکین بیلدروب و قدیمدن شاه کمراه بندەلرندن اولوب دلاورلك ایله
نامدار چرکس دراز اوغلی محمود خان و یاننده اولان مأمور بهادرلر
ایله کلوب اطاعت ایدوب و فتح اولنان یرلر کندویه بکلربکیلك
طریقیله عنایت اولنور ایسه لامکان و سرکردان اولان سیمون خانی اله
کتورمکه عهدەسنه آلوب بکلربکیلك توجیه اولندوغن عرض ایتمشلر
فی سنهٔ مرقومه. [۹۹۵]

(გვ. 232—233).

„მისი აღმატებულება სარდლის მოხსენება საქართველოს ვითარების შესახებ და ციხეების აშენების ამბის შეტყობინება

ზულ-ჰიჯას პირველ რიცხვებში[1] ძლევამოსილი ლაშქრის სარდლისაგან— მისი აღმატებულება ფერჰად-ფაშასაგან მოხსენებებითა და წერილებით მოვიდა მისი სილაჰდარი დაუდ-აღა თავისი ათი მეომარით. [სარდალმა] გვაცნობა: „წყეული სიმონის სატახტო ქალაქ გორში ძლიერი ჯარის ჩასაყენებლად მტკიცე ციხე აშენდა. რადგანაც იგი აქამდე საქართველოში აშენებულ ციხეთა შორის ყველაზე მაგარია, კახთა მბრძანებელმა[2] ალექსანდრე ხანმაც იკისრა ყოველწლიურად ათი ათასი ოქროს ღირებულების საუკეთესო აბრეშუმის გადახდა გარდაკვეთილი ფასით. მორჩილად შეგვატყობინა, რომ არსებულ ციხე-სიმაგრეებს სიძნელეებში დაეხმარებოდა და საკმარის სურსათს მიაწვდიდა“. [გარდა, ამისა სარდალი იტყობინებოდა], რომ „მასთან გულადი ვაჟკაცების თანხლებით მივიდა ვაჟკაცობით სახელგანთქმული ჩერქეზი დირაზის ძე მაჰმუდ-ხანი, რომელიც ძველთაგანვე გზადაბნეული შაჰის მსახური იყო. მან მორჩილება გამოაცხადა და პირობა დასდო, რომ თუ მას ბეგლარბეგობის სახით უწყალობებდნენ მის მიერ დაპყრობილ ადგილებს, თავგზაბნეულ და უსახლკარო სიმონ-ხანის ხელში ჩაგდებას იკისრებდა. ამრიგად, ბეგლარბეგობა ებოძაო“, ზემოაღნიშნულ ამავე წელს“. [1587].

---

[1] 1587 წლის ნოემბრის დასაწყისი.

[2] طائفه لوند — კახეთი.

عساکر منصوره بیرام ایلیوب قپو خلقی علی الاتفاق
ترقی استدوکیدر

شر اول کچیدی دیمکله مشهور کورجستان مملکتی ایچنده جاری بر نهر عظیم اوستنه بونجه منازل و مراحل قطع اولنوب وارلدقده غرهٔ شوال عید شریف اول محلده اولمغین سماط نعم فراوان سردار عالیشان چکوب عالی ضیافت و شکر بیشمار ایله ایکی کون تقاعد اولندی و اطراف و اکناف سیمون لعین حکومتنه داخل اولمغین عسکر اسلامه تضییق ایچون زاد و زواده قومیوب احراق اتمکین عظیم قلت چکلدی و بو محل مضیق اولمغین قپوقولی عل الاتفاق سردار اکرم اوطغنه جمعیت برله هجوم ایدوب بلوکلردن و یکیچریدن و سنجاقلردن و آلای بیراقلرندن کلوب فی الحال هاله مثال سرداری اورتایه آلوب نیزه‌لرین طوغرلدوب بر رتبه‌یی اد بلکه جسارت برله هذیان سویلدیلر که تعبیر اولنمز سردار اکرم دخی صوت اعلا ایله سزه نیجه ترقی ویره‌بیلومکه دشمنه بولشوب جنك ایله صیوب غالب اولمدق و قلعه دوکوب مملکت فتح ایتمدك بن ویرسمده افندم طوتماز بیت المالدر نه هنر ایتدیکز دیرلر قنی اسکیلریکز یول ایله سویلشه‌لم ترقیلریکز باش اوزرینه دیوجك آلایدر آچیلوب یول و یر آچلی ویر مطلویمز بیورلدی دیو دعالر ایده‌رك القشلا مقه باشلدیلر و اول نهر عظیم کچیلوب قونلدیغی کبی بلوك کاتبلرین اوطاغه کتوردوب غرهٔ شوالدن سفرده موجود اولوب یوقلمه‌لرده حاضر بولینوب جمله سفر اخرنده قصورلرین ویروب کله‌جك علوفه‌لرین تمام حساب ایدوب شوکتلو پادشاه حضرتلرینه محلولات ویریلوب تدارك اولسون دیو بیورمشلر و جمله سواری سپاهیلره عموم اوزره ایکشر اقچه ترقی بیوردی و یکیچری و جبه‌جی و طوپچی و طوب عربه‌جیلرینه عموما برر اقچه ترقی قید ایده‌سن دیو تنبیه بیوردی.

(გვ. 246).

„ძლევამოსილი ჯარის მიერ დღესასწაულის გადახდა და ამ შემთხვევის გამო დაძირავებული ჯარის მიერ ერთხულოვნად ჯამაგირის მოთხოვნა

საქართველოზე გამავალი დიდი მდინარის დაყოლებით მრავალი მანძილი და სადგური იქნა განვლილი. ავი ტალახის სახელით ცნობილ ადგილას დადგა შევალის პირველი დღის ბრწყინვალე დღესასწაული[1], და დიდებულმა სარ-

[1] 1588 წ. 28 ივლისი.

დალმა უხვი სუფრა გაშალა. დიდი ნადიმითა და განუზომელი ჭეტა-ჭებით ორი დღე გაატარეს. რადგანაც გარშემო მხარეები წყეული სიმონის სამეფოს ბელოში შედიოდა, ისლამის ჯარის შესავიწროებლად სურსათი არ დასტოვა და ყველაფერი გადაწვა; დიდი გაჭირვება განიცადეს.

რადგანაც ეს არემარე შეჭირვებაში იყო, დაქირავებული ჯარი ერთსულოვნად ეძგერა დიდებული სარდლის კარავს. [ცხენოსანი ჯარის] ბოლუქების, იენიჩარების, სადროშოების, ალაის სადროშოების[1] მეომრებმა უცბად მთავრის შარავანდედივით მოიქცეს შუაში სარდალი. შუბები მოუღერეს და სახელის დარქმევა რომ არ შეიძლება, ისე თავხედურად დაიწყეს სისულელეების თქმა და ენით გამოუთქმელი რამ მოახსენეს. დიდებულმა სარდალმაც მაღალი ხმით უთხრა: „როგორ შემიძლია ჯამაგირი მოგიმატოთ, როცა მტერს არ შევხვედრივართ, ბრძოლაში არ მოგვისპია და გაგვიმარჯვნია; ციხე არ დაგვიქცევია და ქვეყანა არ დაგვიპყრია. მე რომ მოგცეთ კიდეც, მეტყვიან — „ეფენდი, სახელმწიფო ხაზინა ვერ აიტანს! რა დამსახურება გაქვთ!“ თქვენი წინაპრების წესით ვილაპარაკოთ — თქვენი ჯამაგირის მომატება თქვენთვის ეშმაკის ხუმრობაა“.

ჯარმა რკალი გახსნა, ოვაცია მოუწყო და სთხოვა: „გზა და ადგილი ღიაა, ოღონდ ჩვენი მოთხოვნილის შესახებ წერილობითი ბრძანება მოგვეცით“.

ის ბდინარე გადალახეს და როგორც კი დაბანაკდნენ, [სარდალმა] ბოლუქების ქათიბები[2] კარავში მოაყვანინა და ბრძანებით გააფრთხილა: „ბრწყინვალე შევალის თვის[3] პირველიდან ლაშქარში მყოფ და ჯარების დათვალიერებაზე დაამსწრეებისათვის საფარის თვის ყველა გადაუხდელი და მომავალი ჯამაგირი მთლიანად აღრიცხეთ და უავგუსტოეს, ძლევამოსილი ფადიშაჰისათვის გასაგზავნი მაჰლულათი[4] მოამზადეთო“. გარდა ამისა, [სარდალმა] ბრძანა ორ-ორი ახჩის მომატება ყველა ცხენოსანი სიფაჰისათვის და თითო ახჩის მომატება — იანიჩარებისა, ჯებეჯიებისა, თოფჩუებისა და თოფარაბაჯიებისათვის“[5].

---

[1] იგულისხმება ფეოდალური ლაშქარი.

[2] დაქირავებული ჯარის ყოველ პოლკს ჰყავდა ქათიბი — (მწერალი), რომელსაც ებარა პოლკის დავთარი; ქათიბი დავთარში აღრიცხავდა მეომართა დანაკლისს, შევსებას, მათ ჯამაგირს.

[3] 1588 წ. ივლისის ბოლო რიცხვები.

[4] ქონება რომელიც გარდაცვლილს დარჩებოდა. უმეტეს შემთხვევაში დაქირავებული ჯარის მეომრის და სახელმწიფო მოხელის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონების მემკვიდრე სულთანი იყო.

[5] ჯ ე ბ ე ჯ ი — დაქირავ. ჯარის სახეობა, რომელსაც ევალებოდა საჭურველის მოვლა და მომარაგება. თ ო ფ ა რ ა ბ ა ჯ ი — ხარბახნების გადამზიდავი ჯარის ნაწილი.

کنجه اوزرینه کلن قزلباش سردارینی سرحد لشکری باصدوغیدر

سابقا قزلباش کفرفاش آلای دونکلرندن کلب علی دیمکله مشهور لعین سردار ظفر شعار طرفنه دولت اشکینه کلدکده سنجاق ایله تشریف اولنوب انکله تسلی اولمیوب کنجه و قره‌باغ بکلر بکیلکی مزبوره توجه اولنوب نیجه ایام انکله اکلنوب اما دلیر و بهادر برظالم بیدین ایدی سردار اکرم حضرتلری شاهزاده حیدر میرزایی آستانهٔ دولته کتوروب ایللر امینلك اولدقده مزبور کلب علی جبلتنده اولان خبیث باطنه‌سنی اظهار ایدوب سابقا کنجه حاکمی اولان زیاد اوغلی محمد خان دیدکلری لعین ایله اتحاد ایلیوب بقیه السیف اولان قزلباشدن جمع ایدوب کنجه قلعه سنی محصره ایتدیروب محکم خنك و جدال ایله حرب و قتالده ایکن اطراف و اکنافده اولان سرحد منصوره عسکری و بکلربکیلری و بهادرلری علی الاتفاق قزلباش عسکرینك خیالنه کلمز یردن یعنی اردلرندن باصوب هیچ احتمال ویرمدکلری محالدن یتیشوب دلی خضر پاشا امرا و سپاه ظفر پناه ایله اوردولرینه کیروب های و هوی مردان کارزاریرله ایشلری تمام اولوب انجق بر قاچ کلاب ایله کلب علی‌به دشنام ایده‌رك زیاد اوغلی افتان و خیزان خائب و خاسره لوند خانی اولان خائن الکساندره اولکه‌سنه دوشر و کلب علی دخی خنکاری بر قاچ نفر ملاعین برله لوری قلعه‌سی جوارنده قزاق خان نظرینه دوش اولوب غفلت ایله طوتوب کتخداسی اولان پنیر ارسلان دیدکلری لعین برله شاه عباس نظرینه کوندرر انده واردقلرنده شاه کرم دخی چندان التفات ایتمیوب عهد و امان ایچنده بویله شناعت ایدن کمسه‌لرك حقندن کلنمك کرککه عبرتنمای دوران اولەلر دیو بالضروره رعایت و حرمت ایله خلعت کیدروب النه نامه ویروب شفاعت ایله لوری‌یه کوندروب کلدوکنده کماکان لوریده قرار ایلدی و تومانس و تفلیس قوللری مملکت قوردلری کلب علی خانه خواب خرکوش ویروب فرصت ایله له کتوروب قید بندایله در دولته یتوردیلر و بونده کلدکده وزیر اعظم سنان پاشا لغرض سرداراکرم حضرتلرینه مقابله ایلسون دیو نوید حیات ویروب برقاچکون جان کزدردی و بر کون ناکهانی حبس فرمان اولندی بعده در وغ بیغر وغی معلوم اولمغین بالق بازارینه صلب اولندی سنه ۹۹۸.

(33. 267—268).

„განჯაზე მიმავალ ყიზილბაშთა სარდალზე სასაზღვრო ჯარის უეცარი თავდასხმა

სახელოვან სარდალთან წინათ რომ მივიდა ერთი დაწყევლილი, რომელიც ღვთისმგმობი ყიზილბაშების მოხეტიალე ბრბოს წევრი იყო და ქელბალის სახელით იყო ცნობილი, პატივი სცეს და სანჯაკი უბოძეს. მაგრამ ეს არ იკმარა და განჯისა და ყარაბაღის ბეგლარბეგობა ებოძა. რამდენიმე ხანი დაჰყო [ამ ადგილზე]. ეს კი უნდა ითქვას, რომ გულადი და მამაცი, ურწმუნო ტირანი იყო. მისმა აღმატებულებამ, დიდებულმა სარდალმა შაჰ-ზადე ჰაიდარ მირზა სტამბოლში მიიყვანა და როდესაც ხალხი მას მიენდო, ხსენებულმა ქელბ ალიმ თანდაყოლილი დანაშაულებრივი სული გამოავლინა. იგი შეუკავშირდა განჯის ყოფილ მბრძანებელს დაწყევლილ ზიადის ძე მეჰმედ-ხანს, შეკრიბა ხმალს გადარჩენილი ყიზილბაშები და განჯის ციხეს ალყა შემოარტყმევინა. ძლიერ ბრძოლებსა და ხოცვა-ჟლეტაში იყო. ამ დროს იმ არე-მარეში მყოფი ძლევამოსილი სასაზღვრო ჯარი, ბეგლარბეგები და გულადი მეომრები ერთსულოვნად და მოულოდნელად დაესხნენ თავს ყიზილბაშთა ჯარს ისეთი ადგილიდან, აზრად რომ არ მოუვიდოდათ ე. ი. ზურგიდან. სრულიად წარმოუდგენელი ადგილიდან წამოეწივნენ. დელი ჰიდირ-ფაშა, ემირები [სანჯაკებისა] ძლევამოსილი სიფაჰიებით მათ ჯარში შეიჭრნენ ყიჟინითა და ხმაურით. ვაჟკაცური ბრძოლით მათ საქმეებს ბოლო მოელო. ზიადის ძე მეჰმედ-ხანი ქელბ ალის ლანძღვით თავის რამდენიმე ძაღლთან [1] ერთად დიდი გაჭირვებით სასოწარკვეთილი და დაეჭვებული კახეთის ხანად მყოფ ვერაგ ალექსანდრეს ქვეყნისაკენ გაიქრა. სისხლისმსმელი ქელბალი კი რამდენიმე დაწყევლილი კაცის თანხლებით ლორეს ციხის სანახებში ყაზაბის ხანს შეხვდა. ყაზახის ხანი უყურადღებოდ მოექცა, დაიჭირა და თავის ქეთხუდა ფირ არსლანთან ერთად შაჰ-აბასთან გააგზავნა. იქ რომ ჩავიდნენ, „მწყალობელმა" შაჰმაც მაინცდამაინც წყალობით არ მიიღო და სთქვა: „დახმარებისა და წყალობის მოსაპოვებლად ასეთი ავის ჩამდენი ვიგინდარებისათვის ჭკუის სწავლება საჭიროა, რომ ეპოქებისათვის იყვნენ ისინი სამაგალითოო". ძალდატანებითი პატივით ხალათი ჩააცვა, ხელში წერილი მისცა და შუამდგომლობით (ისევ) ლორეში გაგზავნა. რომ მოვიდა, წინანდებურად ლორეში დადგა. დმანისის [2] და თბილისის ჯარები — სახელმწიფოს მგლები ქელბ ალი-ხანის კურდღელივით მძინარე ჯარს შეესია და როცა დრო იხელთეს, მოიტაცეს და ხელფეხშეკრული სტამბოლში მოიყვანეს. როდესაც აქ მოვიდა, დიდვეზირმა სინან-ფაშამ განიზრახა მისი აღმატებულება დიდებული სარდლის გასაბრაზებლად რამდენიმე დღეს ცოცხალი გაეშვა. ერთ დღეს მოულოდნელად ციხეში ჩასმის

---

[1] სიტყვების თამაშია كلب على „ქელბ ი ალი" — ნიშნავს „ალის ძაღლს". ალის პატივსაცემად ამ სახელს ირქმევდნენ ყიზილბაშები—ალის მიმდევარი შიიტები.

[2] تومانس.

ბრძანება გაიცა. შემდეგ, რადგანაც მისი ცრუ ცხოვრება ცნობილი იყო, ბალიქ ბაზარში[1] ჩამოხრჩობილ იქნა 998 წელს"[2].

აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 15.1.1960)

Г. В. Путуридзе

Мустафа Селяники о Грузии

Резюме

В историческом сочинении Мустафы Селяники имеются интересные сведения о Грузии и турецко-грузинских отношениях во второй половине XVI века. Сведения Селяники тем более важны, что он принимал участие в походах против Грузии и Ирана.

Анализ сведений Селяники дает возможность выяснить некоторые факты из истории Грузии, которые не упоминаются ни в грузинских, ни османских источниках.

Некоторые сведения Селяники (описание сражений в Самцхе-Саатабаго, на реке Куре и др.) дают возможность дополнить и уточнить сведения грузинских, персидских и османских источников.

---

[1] ადგილი სტამბოლში.

[2] 1589 წელი.